გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 29

2025 წლის 14 მარტი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ფ/პ მანანა ქარქიევისთვის (პ/ნ 59001030147) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 25 ნოემბერს (№ 19/2024330158-20) შემოსულია მოქ. მანანა ქარქიევის განცხადება, რომელშიც 4 წლის ვადით, სავაჭრო ობიექტის - ჯიხურის განთავსების მიზნით, მოთხოვნილია, იჯარის გაგრძელება, ან ახალი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება, სოფ. ფლავში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.48.04.497 (წინა ნომერი: 66.48.04.047) მიწის ნაკვეთიდან 20 კვ.მ უძრავ ქონებაზე.

აუდიტური კომპანიის მიერ 2025 წლის 20 თებერვლის №018-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით (მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფლავი, 1-ლი ქუჩა, N50) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 66.48.04.497 დაზუსტებული ფართობი 1480.00 კვ.მ) - 20 კვ.მ უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 1,700.00 (ათას შვიდასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ფლავში, 1-ლი ქუჩა, N50 - ში მდებარე ს/კ 66.48.04.497 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან, ნაწილი ფართის - 20 კვ.მ - ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის

განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ფლავში, 1-ლი ქუჩა, N50 - ში მდებარე ს/კ 66.48.04.497 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან, ნაწილი ფართი - 20 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს ფ/პ მანანა ქარქიევს (პ/ნ 59001030147).

2. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლავში, 1-ლი ქუჩა, N50 - ში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 66.48.04.497 დაზუსტებული ფართობი 1480.00 კვ.მ) - 20 კვ.მ უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 1,700.00 (ათას შვიდასი) ლარით.

3.წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 360 (სამას სამოცი) ლარით.

4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 1 (ერთი) წლის ვადით.

5. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც 2 (ორი) ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

6. მოიჯარეს ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონება გადაეცემა კომერციული დანიშნულებით (სავაჭრო ობიექტის - ჯიხურის განთავსების მიზნით).

7. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე